

სასესხო შეთანხმება
(ჩვეულებრივი ოპერაციები)

(COVID-19-ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერი პროგრამა)

საქართველოსა

და

აზიის განვითარების ბანკს

შორის

თარიღი -----

GEO 54191

სასესხო შეთანხმება
(ჩვეულებრივი ოპერაციები)

სასესხო შეთანხმება, დათარიღებული ----- საქართველოსა ("მსესხებელი") და აზიის განვითარების ბანკს ("ADB") შორის.

დადებულია მასზედ, რომ:

- (ა) ADB-მ მსესხებლისაგან მიიღო წერილი განვითარების პოლიტიკის შესახებ, დათარიღებული ----- („პოლიტიკის შესახებ წერილი“), რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მიზნებს, პოლიტიკასა და ქმედებებს, რომელიც ადგენს მსესხებლის საპასუხო განვითარების ხარჯებს 2019 წლის კორონავირუსის დაავადების (COVID-19) პანდემიის თაობაზე, როგორც აღწერილია წინამდებარე სასესხო შეთანხმების („პროგრამა“) 1 დანართში;
 - (ბ) მსესხებელმა მიმართა ADB სესხის აღებაზე CARES პროგრამის მიზნებისათვის; და
 - (გ) ADB დათანხმდა, გასცეს სესხი მსესხებელზე ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი ვადებისა და პირობების გათვალისწინებით;
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

სესხის რეგულაციები; განმარტებები

ნაწილი 1.01. ჩვეულებრივი ოპერაციების სასესხო წესდების ყველა დებულება დათარიღებული 2017 წლის პირველი იანვრით („სასესხო რეგულაციები“), გავრცელდეს წინამდებარე სასესხო შეთანხმებაზე იგივე ძალითა და ქმედითობით, როგორც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი სრულად აისახებოდნენ წინამდებარე დოკუმენტში, თუმცა, შემდეგი ცვლილებების შეტანის შემდგომ:

(ა) ნაწილი 2.01 (tt) წაშლილია და შეცვლილია შემდეგით:

ტერმინი „პროგრამა“ აღნიშნავს პროგრამას, რომლისთვისაც ADB დათანხმდა სესხის გაცემას, როგორც ეს აღწერილია სასესხო შეთანხმებაში და იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებულ აღწერილობაში შეიძლება დროდადრო ცვლილებების შეტანა ADB-სა და მსესხებელს შორის შეთანხმების საფუძველზე.

(ბ) ტერმინი „პროექტი“, სადაც არ უნდა იყოს იგი გამოყენებული სასესხო რეგულაციების ფარგლებში, უნდა შეიცვალოს ტერმინით „პროგრამა“.

(გ) ნაწილი 2.01 (vv) წაშლილია და შეცვლილია შემდეგით:

ტერმინი „პროგრამის განმახორციელებელი სააგენტო“ აღნიშნავს უწყებას ან უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამის განხორციელებაზე, როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო შეთანხმებაში.

(დ) ტერმინი „პროექტის განმახორციელებელი სააგენტო“, სადაც არ უნდა იყოს იგი გამოყენებული სასესხო რეგულაციების ფარგლებში, უნდა შეიცვალოს ტერმინით „პროგრამის განმახორციელებელი სააგენტო“.

(ე) ნაწილი 6.01(b) წაშლილია.

ნაწილი 1.02. რამდენიმე ტერმინს, სადაც არ უნდა იყოს გამოყენებული წინამდებარე სასესხო შეთანხმების ფარგლებში, განსაზღვრულს სასესხო რეგულაციებში გააჩნია აქ ჩამოყალიბებული შესაბამისი მნიშვნელობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება ცვლილების შეტანა, ან კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს. წინამდებარე სასესხო შეთანხმებაში გამოყენებულ დამატებით ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობები აქვთ:

(ა) „თანამონაწილეობის ფონდები“ ნიშნავს ნიშნავს სესხიდან წარმოქმნილ ადგილობრივ ვალუტას CARES პროგრამის ფარგლებში და რომელიც მოცემულია წინამდებარე სასესხო შეთანხმების მე-4 დანართის მე-4 ნაწილში;

(ბ) „ანაზრის ანგარიში“ ნიშნავს ანგარიშს, რომელიც მოცემულია წინამდებარე სასესხო შეთანხმების მე-3 დანართის მე-3 ნაწილში;

(გ) „ქართული ლარი“ ან „ლარი“ ნიშნავს მსესხებლის ვალუტას;

(დ) „სესხის ჩამორიცხვის სახელმძღვანელო“ ნიშნავს ADB-ის სესხის ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს (2017, როგორც შესწორებულია დროდადრო);

- (ე) „პოლიტიკის შესახებ წერილი“ ნიშნავს განვითარების პოლიტიკის წერილს, რომელიც მოხსენიებულია წინამდებარე სასესიო შეთანხმების (ა) ნაწილში; და
- (ვ) "პროგრამის აღმასრულებელი სააგენტო", სესხის რეგულირების მიზნებისათვის და მისი მნიშვნელობით ნიშნავს მსესხებლის ფინანსთა სამინისტროს ან ADB- სთვის მისაღებ მის ნებისმიერ მემკვიდრეს, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროგრამის განხორციელებაზე.

მუხლი II

სესხი

ნაწილი 2.01. (ა) ADB თანახმაა, ასესხოს მსესხებელს ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან თანხა ოთხმოცდათორმეტი მილიონ სამას ორი ათასი ევრო (€92,302,000 ევრო) ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ დროდადრო შესაძლებელია მოხდეს ხსენებული თანხის კონვერტირება ვალუტის კონვერსიის საშუალებით, წინამდებარე სასესიო შეთანხმების ნაწილი 2.06-ის დებულებებს შესაბამისად.

(ბ) სესხს გააჩნია ძირითადი თანხის დაფარვის 7-წლიანი ვადა და შეღავათიანი პერიოდი, რომელიც განსაზღვრულია ამ ნაწილის (გ) პუნქტით.

(გ) ტერმინი „შეღავათიანი პერიოდი“, რომელიც გამოყენებულია ამ ნაწილის (ბ) პუნქტში, აღნიშნავს პერიოდს, რომელიც წინ უსწრებს დასაფარი ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღს, წინამდებარე სასესიო შეთანხმების მე-2 დანართში მოცემული ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად.

ნაწილი 2.02. მსესხებელმა უნდა გადაუხადოს ADB-ს პროცენტი ძირითად სესხის ათვისებულ და დაუფარავ თანხაზე, დროდადრო თითოეული საპროცენტო პერიოდში იმ განაკვეთით, რომელიც ტოლია:

(ა) LIBOR/Euribor-ისა; და

(ბ) 0.60%-ის ჯამისა, როგორც ეს განსაზღვრულია სასესიო რეგულაციების ნაწილში 3.02, გამოკლებული 0.10%, როგორც ეს განსაზღვრულია სასესიო რეგულაციების ნაწილში 3.03.

ნაწილი 2.03. მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ვალდებულების გადასახდელი წლიური 0.15%-ის ოდენობით. ვალდებულების გადასახდელი უნდა დაირიცხოს სესხის სრულ თანხაზე (მინუს დროდადრო ათვისებული თანხები), დაწყებული წინამდებარე სასესიო შეთანხმების თარიღიდან 60 დღის შემდეგ.

ნაწილი 2.04. საპროცენტო და სხვა სასესიო გადასახდელები გადაიხდება ყოველ წელს, წელიწადში ორჯერ 15 თებერვალს და 15 აგისტოს.

ნაწილი 2.05. მსესხებელმა უნდა დაფაროს სესხის ანგარიშიდან ათვისებული სესხის ძირითადი თანხა, წინამდებარე სასესიო შეთანხმების მე-2 დანართის დებულებებს შესაბამისად.

ნაწილი 2.06. (ა) მსესხებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სესხის პირობების შეცვლა ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი სახით, რათა ხელი შეუწყოს სესხის გონივრულ მართვას:

- (i) სესხის მთლიანი ძირითადი თანხის ან მისი რომელიმე ნაწილის, იქნება ის ათვისებული და დაუფარავი, თუ ათვისებული, სასესიო ვალუტის შეცვლა დამტკიცებული ვალუტით;
- (ii) ათვისებული და დაუფარავი სესხის სრულ ძირითად თანხაზე ან მის რომელიმე ნაწილზე გავრცელებული საპროცენტო განაკვეთის გადაყვანა ცვლადი განაკვეთიდან ფიქსირებულ განაკვეთზე, ან პირიქით;
- (iii) ლიმიტების დაწესება ცვლად განაკვეთზე, რომელიც ვრცელდება ათვისებული და დაუფარავი სესხის სრულ ძირითად თანხაზე ან მის რომელიმე ნაწილზე, ხსენებულ ცვლად განაკვეთზე სარგებლის საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული მაქსიმუმის ან სარგებლის საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული მინიმუმისა და მაქსიმუმის დაწესებით.

(ბ) ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოითხოვება ამ ნაწილის (ა) პუნქტის შესაბამისად და რომელიც აღიარებულია ADB-ს მიერ, ჩაითვლება „ცვლილებად“, როგორც ეს განსაზღვრულია სასესიო რეგულაციების ნაწილში 2.01 (f), და იგი უნდა განხორციელდეს სასესიო რეგულაციების მუხლი V-ის დებულებებისა და კონვერსიის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

მუხლი III

სესხის სახსრების გამოყენება

ნაწილი 3.01. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს სესხის სახსრების გამოყენება პროგრამის ხარჯების დასაფინანსებლად, წინამდებარე სასესხო შეთანხმების დებულებების შესაბამისად.

ნაწილი 3.02. სესხის სახსრები ათვისებულ უნდა იქნას წინამდებარე სასესხო შეთანხმების მე-3 დანართის დებულებების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი დანართი შეიძლება დროდადრო შეიცვალოს მსესხებლისა და ADB-ს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ნაწილი 3.03. სესხის დახურვის თარიღად სასესხო რეგულაციების ნაწილი 9.02-ით გათვალისწინებული მიზნებისათვის მიღებულ უნდა იქნას 2020 წლის 31 დეკემბერი, ან სხვა რომელიმე თარიღი, რომლის შესახებაც შესაძლოა დროდადრო შეთანხმდნენ მსესხებელი და ADB.

მუხლი IV

კონკრეტული შეთანხმებები

ნაწილი 4.01. (ა) პროგრამის განხორციელებისას, მსესხებელმა უნდა შეასრულოს ან უზრუნველყოს რომ შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების მე-4 დანართში მოცემული ყველა ვალდებულება.

ნაწილი 4.02. როგორც ანგარიშებისა და ინფორმაციის ნაწილი, მითითებული სასესხო რეგულაციების ნაწილებში 7.01 და 7.04, მსესხებელი ADB-ს წარუდგენს ან უზრუნველყოფს წარდგენას ნებისმიერი ანგარიშისა და ინფორმაციისა, რომელსაც ADB ჯეროვნად მოითხოვს პროგრამის განხორციელებასთან, მათ შორის პოლიტიკის წერილში განსაზღვრული მიზნების მიღწევასა და ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი V

ეფექტურობა

ნაწილი 5.01. სასესხო რეგულაციების ნაწილის 10.04 მიზნებისათვის, სასესხო შეთანხმების ეფექტურობისთვის განსაზღვრულია 90 დღე წინამდებარე სასესხო შეთანხმების თარიღიდან.

მუხლი VI

სხვადასხვა

ნაწილი 6.01. სასესხო რეგულაციების ნაწილი 12.02-ის მიზნებისთვის, მსესხებლის ფინანსთა მინისტრი დასახელდა მსესხებლის წარმომადგენლად.

ნაწილი 6.02. სასესხო რეგულაციების ნაწილი 12.01-ის მიზნებისთვის მიეთითება შემდეგი მისამართები:

მსესხებლისთვის:

ფინანსთა სამინისტრო
ვ. გორგასლის ქუჩა N 16, 0114
თბილისი, საქართველო
ფაქსი:
(+995 32) 2262423

აზიის განვითარების ბანკისთვის:

აზიის განვითარების ბანკი
აზიის განვითარების ბანკის გამზირი N 6
ქალაქი მანდალიუონგი
მეტრო მანილა 1550

ფილიპინები

ფაქსი:

(632) 8636-2444

(632) 8636-2424.

რის დასტურადაც მხარეები, რომლებიც მოქმედებენ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას ზემოთ მოცემული თარიღით. შეთანხმების წარდგენა უნდა მოხდეს აზიის განვითარების ბანკის სათაო ოფისში.

საქართველოს სახელით

სახელი, თანამდებობა

აზიის განვითარების ბანკის
სახელით

სახელი, თანამდებობა

დანართი 1

პროგრამის აღწერა

1. პროგრამის ძირითადი მიზანია საფუძვლების შექმნა ხანგრძლივი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება მსესხებლის ანტიციკლური პოლიტიკა COVID-19 კრიზისის შედეგების აღმოსაფხვრელად, ადამიანური და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ხარჯების შემცირება, რომელიც მოიცავს; (ა) COVID-19 გავრცელების შეჩერება ჯანდაცვასთან დაკავშირებული დაფინანსების გაზრდის მეშვეობით (ბ) მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებების გატარების მეშვეობით, და (გ) მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ნაწილის დაცვა სოციალური პროგრამებისთვის გაზრდილი დაფინანსების მეშვეობით. პროგრამა უფრო დეტალურად არის აღწერილი პოლიტიკის წერილში.

2. პროგრამა სავარაუდოდ დასრულდება 2020 წლის 31 დეკემბერს.

დანართი 2
გადახდის გრაფიკი

1. წინამდებარე ცხრილში მოცემულია სესხის ძირითადი თანხის დაფარვის თარიღები და გადასახდელი სესხის მთლიანი ძირითადი თანხის პროცენტი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ძირითადი თანხის თითოეული გადახდის თარიღისთვის (გადახდის წილი). იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები სრულად გამოიყენება პირველი გადახდის თარიღის დროს, მსესხებლის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა, რომლის გადახდა უნდა მოხდეს გადახდის ძირითადი თარიღის მიხედვით, განისაზღვროს ADB-ის მიერ შემდეგნაირად: (ა) პირველი გადახდის თარიღისთვის გამოყენებული და დასაფარი სესხის მთლიანი ძირითადი თანხის გამრავლებით (ბ) პერიოდული შენატანის ნაწილზე თითოეულ ძირითადი გადახდის თარიღისათვის; საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს ასეთი გადახდის კორექტირება, წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტში მითითებული ნებისმიერი თანხის მოსავლებად, რომელსაც ეხება ვალუტის კონვერტირება.

გადახდის დღე	გადახდის ოდენობა (გამოსახული %-ში)
15 აგვისტო, 2023	7.142857
15 თებერვალი, 2024	7.142857
15 აგვისტო, 2024	7.142857
15 თებერვალი, 2025	7.142857
15 აგვისტო, 2025	7.142857
15 თებერვალი, 2026	7.142857
15 აგვისტო, 2026	7.142857

15 თებერვალი, 2027	7.142857
15 აგვისტო, 2027	7.142857
15 თებერვალი, 2028	7.142857
15 აგვისტო, 2028	7.142857
15 თებერვალი, 2029	7.142857
15 აგვისტო, 2029	7.142857
15 თებერვალი, 2030	7.142859
სულ	100.000000

2. იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები სრულად არ გამოიყენება პირველი გადახდის თარიღის დროს, სესხის ძირითადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მსესხებელმა თითოეული გადახდის თარიღზე, განისაზღვრება შემდეგნაირად:

(ა) იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები გამოიყენება პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს გამოყენებული თანხა და აღნიშნული თარიღისთვის დარიცხული გადასახდელი თანხა, ამ დანართის 1 პუნქტის მიხედვით; და

(ბ) ნებისმიერი თანხა, რომლის გამოთხოვაც მოხდა პირველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღის შემდეგ, უნდა იქნას გადახდილი ყოველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღში, რომელიც დადგება აღნიშნული თანხის განაღდებას თარიღის შემდეგ, ADB-ის მიერ განსაზღვრული რაოდენობით, თითოეული ასეთი განაღდებული თანხის გამრავლებით წილადზე, რის ასათვლელადაც, აღნიშნული ძირითადი გადახდის დღისთვის, აღებული უნდა იყოს თავდაპირველი პერიოდული შენატანის წილი, რომელიც მოცემულია წინამდებარე დანართის 1 პუნქტში, ხოლო დენომინატორად ძირითადი თანხის გადახდის თარიღისთვის, რომელიც ასეთ თარიღს დაემთხვევა ან მის შემდეგ დადგება - დარჩენილი თავდაპირველი პერიოდული შენატანის ნაწილი. გადასახდელი თანხა უნდა დარეგულირდეს საჭიროებისამებრ, რათა დაიქვითოს იმ თანხიდან, რომელიც მითითებულია წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტში და რომელსაც ეხება ვალუტის კონვერტირება.

3. თანხის გამოყენება, რომელიც განხორციელდება ძირითადი თანხის გადახდის თარიღამდე ორი თვის განმავლობაში, მხოლოდ იმ ძირითადი თანხის რაოდენობის გამოსათვლელად, რომელიც გადასახდელია ძირითადი თანხის გადახდის თარიღზე, უნდა ჩაითვალოს, როგორც ათვისებული და გადასახდელი მომდევნო ძირითადი თანხის დაფარვის თარიღის დადგომისას, რომელიც მოჰყვება თანხის ათვისების თარიღს. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მოხდეს თითოეული ძირითადი თანხის გადახდის თარიღის დადგომისას, რომელიც დაიწყება მომდევნო ძირითადი თანხის გადახდის თარიღით.

4. მიუხედავად წინამდებარე დანართის 1 და მე-2 პუნქტებისა, რომელიც ეხება სესხის ძირითადი ათვისებული თანხის ყველა ან რომელიმე ნაწილისთვის ვალუტის კონვერტაციას შეთანხმებით დამტკიცებულ ვალუტაში, კონვერტირებული თანხა, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ძირითადი თანხის დაფარვის თარიღის მიხედვით, რომელიც წინ უსწრებს კონვერტაციის პერიოდს, უნდა განისაზღვროს ADB-ის მიერ უშუალოდ კონვერტაციამდე, აღნიშნული თანხის დენომინაციის ვალუტის გამრავლებით: (i) ან იმ სავალუტო კურსზე, რომელიც ასახავს ძირითადი თანხის რაოდენობას ზემოთ აღნიშნულ დამტკიცებულ ვალუტაში, რომლის გამოყოფა უნდა მოხდეს ADB-ის მიერ სავალუტო რისკის ჰეჯირების ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ კონვერტაციასთან; ან (ii) იმ შემთხვევაში, თუ ADB განსაზღვრავს ამგვარად, კონვერტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად, გამოცხადებული გაცვლითი კურსით.

5. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული და გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა დენომინირდება სესხის ერთზე მეტ ვალუტაში, წინამდებარე დანართის პირობები გამოყენებულ იქნას კონკრეტულად სესხის თითოეულ ვალუტაში დენომინირებულ თანხასთან მიმართებაში, რათა ცალ-ცალკე შემუშავდეს სესხის გადახდის გრაფიკი.

დანართი 3

სესხის თანხების გამოთხოვა

1. თუ სხვაგვარად არ იქნება მოცემული ამ დანართში ან თუ ADB-სთან სხვაგვარად არ შეთანხმდება, სესხის თანხების ჩამორიცხვა მოხდება სესხის ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს დებულებების შესაბამისად.
2. სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის აპლიკაცია მსესხებლის მიერ უნდა წარედგინოს ADB-ს და უნდა იყოს ADB-სთვის მისაღები ფორმით.
3. (ა) ADB-სთვის სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის პირველი აპლიკაციის წარდგენამდე, მსესხებელი დაასახელებს საქართველოს ეროვნულ ბანკში, სახელმწიფო ხაზინის სავალუტო ანგარიშის (სადეპოზიტო ანგარიში) ქვე-ანგარიშს, სადაც მოხდება სესხის ანგარიშიდან გამოთხოვილი ყველა თანხის განთავსება. სადეპოზიტო ანგარიში შეიქმნება, იმართება და გაუქმდება მსესხებლის შესაბამისი რეგულაციებისა და პროცედურების მიხედვით.
(ბ) სადეპოზიტო ანგარიშთან მიმართებით ცალკეული ანგარიშები და ანგარიშგებები განხორციელდება საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად, ADB-სთვის მისაღები ფორმით. ADB-ს მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელს უნდა ჰქონდეს სადეპოზიტო ანგარიშის ფინანსური მონაცემები აუდირებული დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, რომელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და ფუნქციები მისაღები იქნება ADB-სთვის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ან ეროვნული ექვივალენტისა, რაც ასევე მისაღები იქნება ADB-სთვის. მათი მომზადების შემდეგ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ADB-ის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 6 თვისა, ასეთი ფინანსური აუდიტის ასლები და ფინანსურ დოკუმენტაციაზე აუდიტორთა დასკვნები ინგლისურ ენაზე წარედგინება ADB-ს.
4. სესხის თანხები არ იქნება გამოთხოვილი ამ დანართის დამატებაში მოცემულის დასაფინანსებლად.
5. მსესხებელს შეუძლია სესხის თანხების გამოთხოვა ამ სასესხო შეთანხმების ეფექტურად გამოცხადებისთანავე.

მე-3 დანართის დამატება

უარყოფითი სია

სესხის თანხიდან გამოთხოვა არ მოხდება შემდეგისთვის:

(i) იმ საქონელზე გასაწევი ხარჯებისთვის, რომელიც შედის გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციის სტანდარტების, შესწორება 3 (SITC, Rev. 3) შემდეგ ჯგუფებში ან ქვეჯგუფებში ან SITC-ის სამომავლოდ განსახორციელებელი ცვლილებების ფარგლებში ნებისმიერ მათ სამართალმემკვიდრე ჯგუფსა თუ ქვეჯგუფში, როგორც ეს იქნება განსაზღვრული ADB-ის მიერ მსესხებლისთვის შეტყობინების გზით:

ცხრილი: შეუსაბამო საგნები

თავი	მითითება	საგნების აღწერა
112		ალკოჰოლური სასმელები
121		თამბაქო, დაუმუშავებელი; აკრძალული თამბაქო
122		თამბაქო დამუშავებული (რომელიც არ შეიცავს თამბაქოს შემცველს)
525		რადიოაქტიური და მასთან ასოცირებული მასალები
667		მარგალიტები, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები, დამუშავებული ან დაუმუშავებელი
718	718.7	ატომური რეაქტორები და მათი ნაწილები, ნავთობის ელემენტები (კარტრიჯები), არა დასხივებული ატომური რეაქტორისთვის
728	728.43	თამბაქოს მწარმოებელი მოწყობილობა
897	897.3	ოქროს, ვერცხლის ან პლატინის ჯგუფის ძვირფასეულობა/სამკაულები (გარდა საათებისა და საათის ბუდეებისა) და ოქროს ან ვერცხლის

წყარო: გაერთიანებული ერები

- (ii) მსესხებლის ვალუტაში გასაწევი ხარჯებისთვის ან მსესხებლის ტერიტორიაზე მოსაწოდებელი საქონლის ხარჯებისთვის;
- (iii) საქონლის მოწოდების ხარჯებისთვის იმ კონტრაქტის ფარგლებში, რაც ნებისმიერმა ადგილობრივმა ან საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა ან სააგენტომ დააფინანსა ან დათანხმდა რომ დააფინანსებს, ADB-ის მიერ სესხის ამ გრანტის სახით დაფინანსებული ნებისმიერი კონტრაქტის ჩათვლით;
- (iv) სამხედრო ან ნახევრად სამხედრო მიზნებისთვის განკუთვნილი საქონლის ხარჯისთვის ან ფუფუნებისთვის განკუთვნილი საქონლის ხარჯისთვის;
- (v) წარკოტიკებისთვის გაწეული ხარჯისთვის;
- (vi) გარემოსთვის სახიფათო საქონლისთვის, წარმოებისთვის, გამოყენებისთვის ან იმპორტისთვის გაწეული ხარჯისთვის, რაც მსესხებლის კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მხარეცაა მსესხებელი, იკრძალება; და
- (vii) გაერთიანებული ერების ჩარტერის VII თავის შესაბამისად გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მსესხებლის მიერ აკრძალული ნებისმიერი გადახდისთვის გაწეული ხარჯისთვის.

დანართი 4

პროგრამის განხორციელება და სხვა საკითხები

განხორციელების ღონისძიებები

1. მსესხებელი განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტროს, როგორც პროგრამის განმახორციელებელ სააგენტოს, ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს, სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროგრამის განხორციელებაზე, მონიტორინგის და პროგრამის განხორციელების ანგარიშგების ჩათვლით.

პოლიტიკის ნაბიჯები და დიალოგი

2. მსესხებელი დაუყოვნებლივ განიხილავს ADB-სთან ერთად პროგრამის განხორციელებისას წარმოქმნილ პრობლემებსა და დაბრკოლებებს და მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა დაძლიო და შეამსუბუქოს ასეთი პრობლემები და დაბრკოლებები.

3. მსესხებელი ADB-ს მიაწვდის სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ სააგენტოებთან განხილვების შესახებ ინფორმაციას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს პროგრამის განხორციელებაზე და შესაძლებლობას მისცემს ADB-ს გააკეთოს კომენტარი ნებისმიერ შედეგობრივი პოლიტიკის შემოთავაზებაზე. მსესხებელი გაითვალისწინებს ADB-ის შეხედულებებს ნებისმიერი ასეთი შემოთავაზების დასრულებამდე.

თანამონაწილეობის ფონდების გამოყენება

4. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ თანამონაწილეობის ფონდები გამოყენებულ იქნება გარკვეული პროგრამების და აქტივობების დასაფინანსებლად, როლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

მმართველობა და ანტიკორუფციული ქმედება

5. მსესხებელი (ა) შესაბამისობაში იქნება ADB-ის ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტთან (1998, მასში დღეის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებებით) და აღიარებს რომ ADB იტოვებს უფლებას გამოიძიოს პირადად ან მისი სააგენტოების მეშვეობით, ნებისმიერი საეჭვო კორუფციული, თაღლითური, შეთქმულებაზე დაფუძნებული ან იძულებითი პრაქტიკა, პროგრამასთან დაკავშირებით; და (ბ) ითანამშრომლებს ნებისმიერ ასეთ გამოძიებასთან და გაუწევს ყველა საჭირო დახმარებას ასეთი გამოძიების წარმატებით დასრულებისთვის.

მონიტორინგი და განხილვა

6. სესხის დახურვის თარიღიდან 6 თვემდე პერიოდში, მსესხებელი მონიტორინგს გაუწევს და ADB-ის მიაწვდის რეგულარულ ანგარიშებს: (ა) მაკროეკონომიკური და ფინანსური სექტორის პირობებზე, (ბ) ანტი კრიზისული ზომების განხორციელებაზე COVID_19-ზე მსესხებლის რეაგირებისას, (გ) ბენეფიციარების და ბიუჯეტის შესრულების თვალყურის დევნასთან დაკავშირებით, და (დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების და აქტივობების შესახებ, რათა მხარი დაუჭიროს ანტიციკლურ ღონისძიებებს, მათ შორის სამედიცინო აქტივობების ხარჯებს, სოციალურ დაცვას და წარმოების მხარდაჭერას.

7. სესხის დახურვის თარიღიდან 6 თვემდე პერიოდში, მსესხებელი წარუდგენს ADB-ს პროგრამის დასრულების ანგარიშს.